ყოველდღიური გაზეთი | ფასი 10 კაპ. | კვირა, 22 იანვარი, 1917 წ. № 17

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი ... სტრიქონზე ... პეტიტით ... კ. ... განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

ყოველკვირაულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით—9 მან., სამის თვით—5 მან., ერთი თვით—1 მ. 80 კაპ. ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მან.; პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ ივნისისთვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოისხენოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ადგილობრივმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)
კანტორა ღიაა: დილით—9-ან—3 საათამდე, საღამოს—5-ან—7 საათამდე.
რედაქტორი: ხანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

დედა მარიამ სოლომონის ასული, ძმა გიორგი ალექსანდრეს ძე, და, კნ. ალექსანდრა ალექსანდრეს ასული, და მეუღლე მისი თ. იური მელქისედეკის ძე ფალავა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 22 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ექიმის

### ევგენი ალექსანდრეს ძის ნანეიშვილის

სულის მოსახსენებლად.

(1—486—1)

## დილის წარმოდგენა

### ახალ კლუბის შენობაში

კვირას, 22 იანვარს, ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

### ქრისტინე

დრ. 4 მოქ. პ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე, დავითაშვილი, ქიქოძე, ქიღურაძე, ... ბ-ნნი: ..., ... , ... , ... , ფრონისპირელი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, ჩაგუნავა, ნინიძე, კობახიძე.
ადგილების ფასი 170—50 კ.-მდე. ✦ დასაწ. დილის 12 საათზე.
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

თბილისის ქართულ

### ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლა

მოწაფენი მიიღებიან 4 იანვრიდან ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10-დან—2-მდე და საღამოს 5—7-მდე. სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.
—— მისამართი: სლეპცოვის ქუჩა, № 4. ——
(5—353—3)

## ახალი კლუბი

### ერთი კვირის პროგრამა

23 იანვრიდგან 1917 წ.

ორშაბათს
**კონცერტი**
პროფ. ა. ბაროვსკისა.

სამშაბათს
**ოპერეტა**

ოთხშაბათს
**სინემატოგრაფი. სიმებიანი ორკესტრი**

ხუთშაბათს
**ქართული წარმოდგენა.**

პარასკევს
**ოპერეტა**

შაბათს
**კავკასიის მეჯლისიანთა** საქველმოქმ. საზოგადოების ს ღამო.

კვირას
**რუსული წარმოდგენა**

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ წარმოდგენ. „ $8^1/_2$ საათზე.
„ სინემატოგრაფისა „ $8^1/_2$ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
კვირას, 22 იანვარს,

### სიმებიანი ორკესტრი

ორშაბათს, 23 იანვარს,

### სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ქ. თბილისი. 2 თებერვალი 1917 წ.
საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი.

## „ცისფერი ყანწები“

### დიდი მხატვრული საღამო—ახალ ხელოვნებისა

I. პაოლო იაშვილი
წარმოსთქვამს:
„ცისფერი ყანწები—ჩვენი ახალი აღთქმა“
II. ვალერიან გაფრინდაშვილის
სიტყვა:
სტეფან მალარმე—თეთრი ოცნება.
III. ლექსთა თქმა.
1. ვალერიან გაფრინდაშვილი: „ქალის სიმღერა“, „სხვანაირი ტრფობა“, „მისტიური მარულა“, „არლანი“ და სხვ.
3. პაოლო იაშვილი: „წითელი ხარი“, ფარშავანგები ქალაქში“, „ქლექიანი მისალმება ხამთარს“, „სონეტი ორსართულიანი“, სონეტი საქართველოს“ და სხვ.
4. ნიკოლოზ ნადირაძე: ლექსები წიგნიდან—„ავზნიანი ქალაქი“.
5. არ. ჭუმბაძე: „ლირიკული პოემები“.
6. გრ. ჯაფარი: „თეთრი ლექსები“.
7. ლელი ჯაფარიძე: „წამების ქნარი“, „დღესასწაულზედ“, „თეთრ ქუჩებში“, „ორსული მზე“, ლექსები რკალიდან: „ტირილი მთვარისთვის“, „... თამაშობა“ და სხვ.
IV.
ბოდლერის, ვერლენის, მალარმეს, რემბოს, როლინის, კორბიერის, ვერჰარნის, უაილდის, ბალმონტის, ბლოკის, ანდრეი ბელლის ლექსთა საკუთარ თარგმანებს და გრ. რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ელენე დარიანის ლექსებს წარმოსთქვამენ:
ვალ. გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ნიკოლოზ ნადირაძე, გრ. ჯაფარი, ლელი ჯაფარიძე.
საღამო გაიხსნება 8 საათსა და 10 წუთზე.
ბილეთები 1 მან.—6 მან. იყიდება ქართულ საჩაიეში.

ექიმი
### ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი
### მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ —202—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩაკუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
### ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
### კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

დ. ს. არჯევანიძის მაღაზიაში
(შუა ბაზარი № 24)
შემთხვევით იხყიდება
### ვერცხლის სამოვარი
თავის ყოველივე მოწყობილობით.
(1-487-1)

ექიმი
### მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
### ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
### კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი
### გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## ლაზების უმწეობა და ჩვენი გულგრილობა

მოგახსენებთ იმ ლაზებზე, ომის დაწყების დროს სოხუმის ოლქში რომ მოემწყვდნენ და ის დღეა და ის დღე, ტყვეობასა და შიმშილ-წყურვილში სულს რომ ლევენ. ათი ათასამდეა ქალი, კაცი, დიდი და პატარა. ქართულს პრესაში მრავალგზის დაიბეჭდა ცნობები ამათის უმწეო მდგომარეობის შესახებ. საჭირო იყო ნივთიერად დახმარებოდა საზოგადოება. ამ უდანაშაულო ხალხს, როგორც სამხედრო ტყვეებს შიდა რუსეთში ასახლებდნენ. საჭირო იყო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ეს ზომები შეეჩერებინა და ეხსნა ეს ხალხი ზედმეტ წვალება-სასჯელისაგან. მაგრამ საშველი არსაიდან იყო ამათთვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირედ დახმარებას, რომელიც ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ აღმოუჩინა. თუ პირველ ხანებში კიდევ შესაძლებელი იყო მთავრობის სიმკაცრის რითიმე გამართლება და ამ უდანაშაულო ხალხის ცივ გუბერნიებისაკენ გადასახლება, დღეს ასეთი განკარგულების დაჟინება ყოვლად გაუგებარი და უაზროა. დღეს მთელი ლაზისტანი რუსეთის ხელშია და იქ მისი სამართალი და ადმინისტრაცია ბატონობს.

ცნობილია, რომ ლაზისტანში შესვლის დროს, რუსის სამხედრო უწყებას იქაური მკვიდრი არ აუყრია და მასიურად არსად გადაუსახლებია. ადგილობრივი მკვიდრი ვინც ლაზისტანში დარჩა, ყველა ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევა და რუსის მართვა-გამგეობაც ამაში სრულებითაც ხელს არ უშლის. მაშ რა აზრი აქვს, რომ დღეს მთავრობამ აყაროს და რიაზანის გუბერნიაში გადაასახლოს ის 10,000 ლაზი, რომელიც ომის დაწყებიდან სოხუმის ოლქს მოჰყვნენ და სადაც ისინი ომის დაწყებამდე დიდს ეკონომიურ საქმიანობას ეწეოდნენ თამბაქოს პლანტაციებში?! ამათ ხომ არავითარი განსაკუთრებული დანაშაული არ მიუძღვისთ რუსის მთავრობისა და მხედრობის წინაშე. განა უფრო სამართლიანი ის არ იქნება, რომ ამ ათიათას ლაზს საშუალება მიეცეს თავის სამშობლო, ლაზისტანში, დაბრუნდეს, რომელიც დღეს რუსეთის ხელშია და საიდანაც რუსის მხედრობას არც შესვლის დროს და არც იქ დამკვიდრების შემდეგ, მასიური გადასახლების პოლიტიკა არ უწარმოებია.

თუ რუსის მთავრობას იმის საბუთი არა ჰქონდა, რომ ლაზისტანიდან ლაზობა აეყარათ და რუსეთში გადაესახლებია, რა საბუთი უნდა იყოს იმისა, რომ ამ თავითვე სოხუმის ოლქში მოყოლილი ლაზები ასეთ გადასახლებისა და დასჯის საგნად გახადონ? განა უფრო სამართლიანი და სასარგებლო ის არ იქნება, რომ ამ ხალხს სამშობლოში წასვლის უფლება მისცენ და საკუთარის შრომითა და გარჯით თავის თავის გამოკვება შეაძლებინონ? ამას ერთგვარი ეკონომიური ინტერესიც მოითხოვს, რადგან დღეს ამ ათი ათასი ტყვეს შენახვა მთავრობას კაიძალ ფულად უჯდება. ამგვარად, ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც ერთ მოტივს, რომელიც ამართლებდეს ამ ლაზების წინააღმდეგ მიმართულ ზომებს.

დღეს ისინი უბრალო მსხვერპლნი არიან ჩვეულებრივის ბიუროკრატიულ ზოზინისა და გაურკვევლობისა. ამ გარემოებას ახსნა უნდა, სადაც ჯერ არს, ამ უდანაშაულო ხალხს კანონიერი დაცვა სჭირია. ეს დაპატიმრებული ლაზებიც ამას სთხოვენ ქართველ საზოგადოებას თავის დეპეშაში, რომელიც მათ ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირს გამოუგზავნეს და რომელშიც სიტყვა-სიტყვით შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავია მოთხრობილი:

„ჩვენ, სოხუმის ოლქში დატყვევებულმა, ლაზებმა, დეპეშა გავუგზავნეთ მეფის ნაცვალს და ვსთხოვეთ შეაჩეროს ჩვენი გადასახლება რიაზანის გუბერნიაში. ჩვენ სულ 10.000 სული ვართ—ბავშვები, მოხუცნი და ორსული დედაკაცები. აუტანელმა მდგომარეობამ სასოწარკვეთილებამდის მიგვიყვანა: ორსული დედაკაცები გზაში ილოგინებენ. ბავშვები და მოხუცებულნი ცვდებიან და გზაშივე იხოცებიან. გთხოვთ შუამდგომლობა მისის უმაღლესობის წინაშე ნება მოგვცეს დავბრუნდეთ ჩვენს სამშობლო ლაზისტანში. ვიცრომებთ რუსეთის სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, ვიქნებით რუსეთის მოქალაქენი. დატყვევებულ ლაზების მინდობილობით ხელს აწერს მამედ-ეფენდი კიტარჩო-ოღლი“.

საქმე შეეხება უბრალო სამართლიანობის დაცვას კანონიერის და მართლმსაჯულის გზით. ქართველი საზოგადოება ვალდებულია ამ საქმისთვის თავი გამოიდოს და სწრაფად და ენერგიულად ამუშავდეს. ლაზების დასახმარებლად ლაზისტანში მივდივართ და იმდენი კი ვერ მოგვიხერხებია, რომ აქ, საქართველოშივე, უმართლოთ დასჯილ ლაზებს ადვილად შესასრულებელი სამსახური გავუწიოთ.

მოქმედება გვმართებს, მოქმედება!

გ. ვაშაძე.

## უკანასკნელი ზომები

გერმანეთმა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს საპასუხო ნოტა გადასცა, ხოლო დიდს ბრიტანეთს კიდევ უფრო მჭიდროდ შემოაჭდო რკინის სალტე, რომელსაც წყალქვეშა ნავების ბლოკადა ჰქვია. ამ გვარად მან ერთი მეორეს დაუკავშირა ორი დიდი იარაღი, რომლითაც ამ ბოლო დროს ყველა მებრძოლი სახელმწიფოები მოქმედობენ. იდეური პროპაგანდა და პრაქტიკული სამხედრო ზომა. უნდა ითქვას, რომ გერმანეთი მოხერხებულად ხმარობს ორივე იარაღს. ამერიკის საპასუხო ნოტაში გერმანული დიპლომატია ადასტურებს ვილსონის მიერ წამოყენებულ პრინციპებს: ჩაგრულ ერთა უფლებას, ზღვათა თავისუფლების იდეას, მოქიშპე პოლიტიკური კოალიციების მავნებლობას. ამასთან ერთად აშკარად აღიარებს, რომ მთელი ბელგიის შემოერთება არც წინათ ჰქონია აზრად, არც ახლა აქვს. მას სურს მხოლოდ საგანგებო ზომების შემწეობით თავისი მიწა-წყალი დასავლეთ მეზობლების თავდასხმისაგან უზრუნველჰყოს.

ერთა თავისუფლებისა და ადამიანობის სახელით გერმანეთი პროტესტს აცხადებს მოწინააღმდეგეთა ყოფაქცევის წინააღმდეგ. თავის უკანასკნელ ნოტაში, რომლითაც ოთხთა შეთან-

ხმებამ შეერთებულ შტატებს მიმართა, სხვათა შორის ომის ზოგადი მიზანი იყო აღნიშნული. ავსტრია-ჰუნგრეთის იმპერიის დაშლა, ოსმალეთის ევროპიდან გაძევება და კონსტანტინეპოლის დაჭერა აუცილებელ პირობად იყო აღიარებული, ურომლისოდაც შეუძლებელია ზავის ჩამოგდებაო. ამ გულახდილს აღსარებას გერმანეთი ხელზე იხვევს და ამტკიცებს, რომ ოთხთა შეთანხმებისათვის ეროვნული პრინციპი მხოლოდ გარეგნული სამკაულია, ნამდვილად კი მტერს გერმანეთისა და მისი მოკავშირეების განადგურება და შერცხვენა სწადია. ეს სხვათა შორის იმითაც მტკიცდება, რომ ინგლისის სამხედრო ფლოტმა გაუვალი ალყა შემოარტყა გერმანეთს და მის მშვიდობიან მცხოვრებლებს. ბალღებსა, დედაკაცებს და მოხუცებს აუტანელი ტანჯვა და სიმშილით სიკვდილი განუმზადა.

თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ! თანამედროვე მებრძოლი გერმანეთი როგორც სჩანს ამ ძველი ბიბლიური პრინციპით ხელმძღვანელობს. მან კარგად იცის, რომ უცხოეთის პური და ხორცი ინგლისს კიდევ უფრო ესაჭიროება, ვიდრე გერმანეთს და საზღვაო ბლოკადა უფრო მწყინვალედ განმარტოვებული ბრიტანეთისთვის არის საშიში ვიდრე კონტინენტურ სახელმწიფოსთვის. მართლაც ინგლისი ხომ შედარებით უფრო მჭიდროდ არის დასახლებული ვიდრე გერმანეთი. მას შემდეგ, რაც ინგლისის ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა პალატამ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში პურის ბაჟი მოსპო და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი განახორციელა, შინაური მიწადმოქმედება დაეცა და ცხვრის მოშენებამ დაუთმო ადგილი. ინგლისის ბაზარი იაფფასიანმა ამერიკულმა და რუსულმა ხორბალმა დაიპყრო. შეიძლება ითქვას, რომ დღეს დედამიწის ზურგზე არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, რომელიც ისეა დამოკიდებული უცხოეთის პურზე, როგორც ინგლისი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისს ასე ეშინია უცხო სამხედრო ფლოტის გაძლიერებისა და შეძლებისდაგვარად სცდილობს, რომ მისი საკუთარი ფლოტი ყოველთვის ორი უძლიერესი სახელმწიფოს ფლოტს სჭარბობდეს. მიტომ, რომ, თუ რომელიმე სახელმწიფომ ან კოალიციამ დიდი ბრიტანეთის კუნძულებს მჭიდრო ბლოკადა შემოარტყა, ინგლისელი ერი ორიოდე თვის განმავლობაში იარაღს დაჰყრის საკვები სურსათის უქონლობის გამო.

ბოლო დრომდე ინგლისელმა ერმა ზღვაში უპირატესობის შენარჩუნება შესძლო. გერმანეთის საზღვაო ძალაც სწრაფი ნაბიჯით გაიზარდა, მაგრამ ინგლისისას კი მაინც ვერ გაუთანასწორდა. ომის დაწყებისას გერმანეთმა ბლოკადაზე ბლოკადით უპასუხა, მაგრამ გერმანეთის ნაპირების ბლოკადა ნამდვილი აღმოჩნდა, ინგლისისა კი ფიქტიური. მართალია გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა ინგლისელებს დიდძალი გემები დაუღუპეს, მაგრამ მათი აღებმიცემობა საერთოდ ვერ შეარყიეს. უკანასკნელ დროს გერმანეთს, როგორც სჩანს, საგრძნობლად გაუფართოვებია წყალქვეშა ფლოტი. ახლა ამ ფლოტმა კიდევ უფრო მჭიდროდ სალტე უნდა შემოარტყას ინგლისს. გერმანეთის მთავრობა აცხადებს, რომ ამიერიდან არც ერთს ნეიტრალურ გემს უფლება არა აქვს გარემოცულ ზონაში შევიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩაძირვა მოელის.

თუ გერმანელმა ფლოტმა ამ მუქარის განხორციელება შესძლო, ინგლისს მართლაც საშინელი საფრთხე მოელის: სახელდობრ დამშევა.

ვ. ღ.

# წმ. აბოს ხსენების გარშემო

იანვრის მერვე რიცხვი ქართულ ეკლესიას მიუკუთვნებია დიდი მოწამე აბოს ხსენებისათვის. აბო თბილისის საკუთარი წმიდანია, აბოს ღმობიერების ცრემლებითა და მოწამებრივის სისხლითაა ნაპკურები თბილისის ნიადაგი, აბოს პატიოსანმა ძვლებმა მიანიჭეს მადლი და კურთხევა ღვთისა ქართველთა იორდანეს-მტკვარს, აბომ წმიდა ალაგად და სალოცავად გახადა ქართველებისთვის მათი დედა ქალაქი, აბოს ცხოვრების კითხვა-სმენით ჰსტკბებოდა სულით უძველეს დროიდან ქართველი ერი. აბოს საგალობლები თვალსაჩინო ნიმუშებია ძველ ქართულ მეტყველებისა. და, აი, ასეთი პიროვნება ყველასაგან დავიწყებულია დღეს თბილისში! წმ. აბოს სახელი აღარავის უტოკებს გულს, საბანელ იესებრ აღარ ამეტყველებს ქართველებს! თბილისი რომ ყოველწლობით მშვენდება ახალ-ახალი ფართო ტაძრებით ტვერისა, ჩერნიგოვისა, ყაზანისა და სხვა ქალაქების წმიდანების სახელობაზე, აბოს სახელობაზე სულ უმნიშვნელო და უბრალო სამწირველოც არ მოეპოვება!

იფიქრებთ:—ამაში დამნაშავე არავინაა, გარდა ქართველებისავეო.

არ აგიხირდებით, იქნება, ქართველებსაც რამდენიმე წილი ედოს ამ თავმოსაჭრელ უმადურობა-გულციობაში, მაგრამ უმთავრესი დამნაშავენი და პასუხისმგებელნი ასეთ უკვანობისა არიან ისინი, რომლებმაც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან უჯიროდ და უსამართლოდ მიითვისეს ქართულ ეკლესიის გემის მესაჭეობა. ეს გამგებლები იყვნენ მოვალენი შეესწავლათ თბილისის სარწმუნოებრივი წარსული, გაეგოთ ისტორია და მოტივები იქ არსებულ ტაძრების აშენებისა, შეეკრიფათ მცხოვრებთა შორის დარჩენილი თქმულებანი ადგილობრივის ეკლესიის გმირების შესახებ, გასცნობოდნენ ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობას, მოეკითხათ ხალხში გაფანტული ხატები ადგილობრივი წმიდანებისა და თავს ედოთ უკანასკნელების სახელობაზე ეკლესიების აშენება. ხალხი უსათუოდ გაჰყვებოდა ასეთ მეთაურებს, უსათუოდ შეისმენდა ასეთის ჩამგონებლებისას და ხალისით გაიღებდა ხვედრ წვლილს. ხალხი ყოველთვის გულწრფელი პატივისმცემელია საკუთარი წმიდანებისა, იგი მუდამ მოწიწებით იხსენიებს მისის ზნეობრივი სიკეთისათვის წამებულების სახელებს, მას უმაღლეს სათნოებად მიაჩნია სანთელ-საკმევლის გაღება ეროვნული წმიდანების სახელის პატივსაცემლად. მეთაური, მრჩეველი, ხელმძღვანელი იყო საჭირო, თორემ აბოსაც, ევსტათესაც, რაჟდენსაც, დავით აღმაშენებელსაც, თამარ მეფესაც და სხვებსაც აქამდე საკუთარ საკურთხევლებს აუმართავდა თვისის ოფლითა და წარსაგებელითა თბილისის ქართველობა.

მაგრამ ჩვენის ეკლესიის ტრაღიზმიც იმაშია, რომ მეცხრამეტე საუკუნიდან მის გამგედ და ავან-ჩავანის მოპრიანედ მამინაცვალია დაყენებული და არა მშობელი მამა. საქართველოს ეკლესიის ახალი დროის გამგებლებს არ ჰსწამებიათ და არა ჰსწამთ ივერიის ავტოკეფალურ ეკლესიის დიადი და ბრწყინვალე წარსული. ამ [illegible]უფლების რწმენით ქართული ეკლესია არსებობს მხოლოდ მათი მზრუნველობის გამეფების ჟამიდან, ქრისტიანობა საქართველოში მათგანაა შემოტანილი და აყვავებული. ასეთი შეხედულობის მიმდევრობით აიხსნება, რომ არც თვითონ ეცნობიან ეს უმფროსები ჩვენის ეკლესიის წარსულს და არც ქართველებს უწყობენ ხელს განვითარდნენ, განმტკიცდნენ და ამაღლდნენ ზნეობით თავისი მშობლიო ეკლესიის სასიქადულო წარსულის შეგნებულად შეთვისებით! ნუღარ გაიოცებ, მკითხველო, რომ საქართველოს ეკლესიის ერთი ასეთი უმფროსი, როდესაც იგი მცხეთაში სვეტიცხოვლობის ღამისთევითი ლოცვას ასრულებდა, დიდათ განრისხდა სვეტიცხოვლობის ხატი რომ მიართვეს სამახსოვროდ და მრისხანედ მიაძახა თანამლოცველ სამღვდელოებას: „რატომ არ იცით, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ტიბიკონით ხვალ ღვთისმშობლის საფარავის ხსენების დღესასწაულია და არა იმისი, რაც დახატულია მაგ თქვენგან საიდგანღაც გამოტყვრენილ ხატზეო“!? ამ ფაქტის დამსწრენი დღესაც მოიპოვებიან თვით თბილისში.

აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არც ერთი ეკლესია არ აშენებულა ქართველებისთვის თბილისში ჩვენი ეკლესიის გამგებლების საკუთარი მეთაურობით და ხელმძღვანელობით, თუმცა, ღვთის მადლით, ხსენებული საუკუნის განმავლობაში ქართველთა რაოდენობა სხვა ეროვნებებთან შედარებით საგრძნობლათ გაზრდილა და გადიდებულა. ეს კი არა, პირიქით, შორეული საუკუნოებიდან დატოვებული ქართულ ტაძრებიდან ზოგი მთლად ჩამოურთმევიათ ქართველებისთვის და გაუბოძებიათ სხვა ტომის ქრისტიანებზე, ზოგნი საზიაროდ გამოუცხადებიათ ჩვენსა და უცხოელებს შორის, და ზოგნიც მთლად მოსპობილან. ამ გვარი პირობების გამო ერთ დროს სულიერი ძლიერებით სახელგანთქმული ივერიის სამოციქულო ავტოკეფალი ეკლესია დღეს ლობე შემოძარცულ პარტახტსა წარმოადგენს და იმ გავერანებულ ვენახს გვაგონებს, ფსალმუნში რომაა აწერილი: „განრყვნა იგი ეშმან მაღნარისამან და ბრანგმან მძვინვარემან მოძოვა იგი“.

ჩვენი დრო ეროვნულ თვითგარკვევისა და აღსარების, ე. ი. სინდისის საქმის თავისუფლების მოპოვების ხანაა. საკმარისია ქართულ ეკლესიის ამდენი დამცირება, ერი მოვალე ხმა ამოიღოს ამ თავის წმიდათა წმიდის შესახებ, მან უსათუოდ უნდა დაიცვას ეკლესიის ეროვნული სინიდისის ხელშეუხებლობა, თუ სურს თვითოფერად დარჩომა და მედგრად მოთხოვოს მშობლიო ეკლესიის აღდგენა მსოფლიო კრებებისგან მისდამი ბოძებული უზენაეს უფლებებით და მასთან ერთად დაბრუნება ყველა მამულებისა, რომლებიც მორწმუნე ქართველობამ სიგელ-გუჯრებით ამ მიზნით შესწირა ეკლესიას, რომ უკანასკნელის მსახურებს არ ეფოთ მრევლში სამოწყალებოთ და წ[illegible]უწუმ არ ეწუხებინათ სამწყსო ათასგვარ საეკლესიო ხარჯების გაღების თხოვნით.

უფერულად და უგემურად ჩაიარა ამ დღეებში ჩვენის დედა ქალაქის საკუთარ მოწამის წმ. აბოს ხსენებამ და დაე ეს გარემოება დაედოს საფუძვლად ჩვენს გამოფხიზლებას, დაე აბოს სახელმა მოგვხადოს ის ზნეობრივი მხდალობა და ლაჩრობა, რომ აქამდე ვერ მოგვიხერხებია ვაჟკაცურად შევძახოთ: „ხელები შორსო“ მათ, რომლებიც ლეჩაქსა ჰხდიან ჩვენს სალმთო დედას—წმ. ეკლესიას! შეერთებული ერის სურვილის მიუწდომელი არა არისრა ქვეყანაზე. დრო ხელს გვიწყობს და პატივახდილი ჩვენი წმიდანებიც სამოქმედოდ გვიწვევენ.

მორწმუნე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ბროდი-გალიჩის ბრძოლის ხაზი, სადაც გერმანელებმა, გუშინდელ ოფიციალ დეპეშის გადმოცემით, მოქმედება განაცხოველეს, დიდი სტრატეგიული კვანძია მთელ გალიციისათვის და რუმინეთისათვის. ამ ხაზის მნიშვნელობა ორგვარია: როგორც თავდაცვის ხაზი, როგორც ზღუდე-დამცველი ქალაქ ლვოვისა და გალიციისა, მასთანვე, როგორც საფარი პოკონეთის ასპარეზისა, რადგან ქალაქ ლვოვის დაკარგვას, უეჭველია თან მოჰყვება ჩრდილოეთით გადაშენება, ქალაქ რადომისაკენ. ამასთანავე, ბროდი-გალიჩის ხაზი შესანიშნავია, როგორც აქტიურ შეტევის საწარმოებელი ხაზი. მოპირდაპირე, თუ კი შესძლებს აქ ბრძოლის პირის გარღვევას, ზურგით მოექცევა რუსის მთელ იმ ჯარს, რომელიც მოქმედობს ტყიან კარპატებში. ამასთანავე, ამ გზით უფრო ადვილად შესძლებს ბესარაბიისაკენ გაჭრას და, მაშასადამე, მუქარას დაუწყებს რუმინეთში მდგომ რუს-რუმინელთა ჯარს. ბროდი-გალიჩის ხაზი საყურადღებოა კიდევ მითი, რომ მას ზურგს უმაგრებს ლვოვი, კრაკოვი; აქედან მრავალი რკინის გზა მიდის ამ ბრძოლის პირისაკენ და მოპირდაპირეც ადვილად შესძლებს როგორც მიზიდვას ჯარებისას, ისე მათს შესაფერისად განაწილებას. თუ გაიხსენებს მკითხველი, ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით სწორედ ამ მიდამოს. თუ კი გერმანელები მართლაც გენერალურ ოპერაციის წარმოებას უპირველესად რუსეთის წინააღმდეგ განიზრახავენ, მაშინ უმთავრესად სწორედ ეს ხაზი და რუმინეთის ასპარეზი უნდა ახმაურდნენ. თვით ბრძოლის სტრატეგიული მოხაზულება ამას გვეკარნახებს. შეიძლება, ერთმა გარემოებამ შეუშალოს ხელი მოპირდაპირეს და თავისი განზრახვა შემდეგისათვის გადასდოს. ეს არის დრო. ზამთარი უკვე მიწურულია; თებერვალს და მარტს შეიძლება უამინდობა მოჰყვეს და ოპერაციის წარმოება სრულებით შეუძლებლად ჰყოს.

გუშინდელმა დეპეშებმა ფრიად საინტერესო ცნობა მოგვაწოდეს. გერმანეთის მთავრობა ვილსონისადმი ოფიციალ ნოტაში აცხადებს, რომ იგი იწყებს წყალქვეშა ნავებით ბრძოლას: არც ერთს ნეიტრალურ სახელმწიფოს გემს აღარ დავინდობ, თუ უკანასკნელი ინგლისის საფრანგეთის ნაპირებს მიუახლოვდებაო. რამდენად სერიოზულია ასეთი მუქარა, ამას ჩვენ ყველა მალე გავიგებთ. აღსანიშნავია უფრო ის, რომ გერმანეთი ამ განცხადებით უარს ამბობს ყველა იმ შეთანხმებებზე, რომელიც მან დასდო ნეიტრალურ სახელმწიფოებთან წყალქვეშა ნავების შესახებ.

X.

# ომის დეპეშები

20 იანვარი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ბრზეჯანის სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსზე, სლავენტინის დასავლეთით მდებარე ჩვენს სანგრებს გერმანელებმა მედგარი სროლა აუტეხეს ზარბაზნებით, მერე სუდარა-მოხვეულ ძლიერი ჯარით იერიში მოიტანეს ჩვენი თხრილების მარჯვენა წყებაზე. ჩვენი მარქაფა ჯარის სამაგიერო იერიშით და ზარბაზნების სროლით გერმანელები უკანვე მივაბრუნეთ თავის სანგრებში.

**რუმინეთის ასპარეზზე** სროლა და მზვერავთა მოქმედება.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი არაფერი მომხდარა.

## ინგლისი

20 იანვარი.

**ლონდონი.** საფრანგეთის ასპარეზის ოფიც. ცნობა. ლეგრან-ელუს სამხრეთით დავატყვევეთ 25 მეომარი, მათ შორის 1 აფიცერი. ავოკურის მიდამოებში და სერრის დასავლეთით გერმანელებმა სცადეს ჩვენი წინ წაწეული სანგრების აღება, მაგრამ უკუ ვაგდეთ და რამდენიმე დავატყვევეთ. მორვალის მიდამოებში გერმანელები ძლიერ გვიშენდნენ ზარბაზნებს. ნევილ-სენ-ვაასტის ჩრდილო აღმოსავლეთით და იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის სანგრებს ზარბაზნებს ვუშენდით.

**ლონდონი.** ახალშენთა მინისტრმა ვესტმინსტერის რატუშაში განაცხადა: „ნურავინ იფიქრებს, ვითომც ახალშენებში ბრძოლა უნაყოფო იყო, ნურავინ ნუ იფიქრებს, ვითომც გერმანეთის დაკარგული ახალშენები ოდესმე დაუბრუნდება გერმანეთს“.

## საფრანგეთი.

20 იანვარი.

**პარიზი.** დილის ოფიც. ცნობა. ლორენში, სენტ-ელუას სამხრეთით მდებარე სანგრებს გერმანელებმა გუშინ შემოუტიეს, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. ლუვემონისა და მეტრერალის შუა ცხარე სროლაა ზარბაზნებისა.

გუშინ დილით დიუნკერკს გერმანელების მფრინავმა 5 ყუმბარა ესროლა. ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა, ზიანი უმნიშვნელოა.

## საბერძნეთი.

20 იანვარი.

**სოლუნი.** ათენის გაზეთები „ცხონოსი“ და „ემბროს“-ი აცხადებენ: მთავრობამ მოკავშირეებს მემორანდუმი გადასცა ათონის დაჭერის გამო.

# გერმანეთის საპასუხო ნოტა

(პეტ. დეპ. სააგ.)

**სტოკჰოლმი.** 19 იანვარი. ბერლინიდან იტყობინებიან: გერმანეთის ნოტაში, რომელიც ამერიკის ელჩს გადაეცა, ნათქვამია: გერმანეთი განსაკუთრებულის გულისხმიერებით მოეკიდა სენატისადმი ვილსონის მიმართვას, რადგანაც ესმის აღძრულ საკითხების ამა თუ იმ დადგენილების მიღების მნიშვნელობა. ამასთანავე გერმანეთის მთავრობა აცხადებს, რომ განუსაზღვრელ სიამოვნებას ვგრძნობ, რომ ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ განცხადების ძირითადი მუხლები გერმანეთის სურვილებს და პრინციპებს ეთანხმებაო. უპირველესად უნდა ვაღიაროთ უფლება ყველა ეროვნებათა თვითგამორკვევისა და თანასწორობისა. გერმანეთი გულწრფელად შეეგებებოდა ასეთს დებულებას, თუ, მაგალითად, ინგლისის ინდოეთი, რომელიც დღევანდლამდე მოკლებულია პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ეღირსება. გერმანეთი თავდებად უდგება თავის ხალხს, რომ იგი ჩაებმება საზოგადო მუშაობაში, რათა მერმისში თავიდან აცილებულ იქმნას ომიანობა. თავისუფალი ზღვა და ყველა ეროვნებისათვის თავისუფალი აღებ-მიცემობა მუდამ გერმანეთის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ყოფილა. მით უფრო მეტის მწუხარებით აღვნიშნავთ მოპირდაპირეთა მტრულ დამოკიდებულებას მშვიდობიანობის დამყარების საქმეში, რაიც შეუძლებლად ჰხდის მთელი ქვეყნის ერებისათვის ამ უმაღლეს მიზნის განხორციელებას. გერმანეთი და მისი მოკავშირენი მზად იყვნენ საზავო მოლაპარაკებას შესდგომოდნენ და თავისს ძირითად მოთხოვნილებად დაასახელეს—თავისუფალ არსებობისა, სახელისა, და თავის ერთა უზრუნველყოფა. მათ განაცხადეს, რომ განზრახვა არა აქვთ გასრისონ და გაანადგურონ მოპირდაპირენი. ასეთი განზრახვანი, ცენტრალ სახელმწიფოთა აზრით, სხვა ეროვნებათა უფლებას არ შეეფერებოდა. ბელგიის შემოერთება არასოდეს არ ჰქონია განზრახული გერმანეთს, რომელიც ომის შემდეგ ბელგიასთან შეკავშირებით ეცდებოდა მხოლოდ კეთილ-მეზობლური განწყობილება ჰქონოდა და შეუძლებლად გაეხადნა მოპირდაპირის მხრივ ამ ქვეყნის გამოყენება გერმანეთის სავნებლად. ასეთი სიფრთხილე მით უმეტეს საჭირო იყო გერმანეთისათვის, რომ მოპირდაპირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ ზავის ჩამოგდების შემდეგაც, ვითომც უმაღლესი ეროვნული მოსაზრებით, არ მოიშლიან ჩვენთან გაწესრიგებულ ბრძოლას. გერმანეთის მტრებმა გამოამჟღავნეს ომის ნამდვილი მიზანი—დაქუცმაცება და შერცხვენა გერმანეთის, ავსტრიის, ოსმალეთისა და ბულგარეთისა. ჩვენს მშვიდობიან განზრახვას მათ დაუპირდაპირეს ჩვენი განადგურების სურვილი. ამგვარად ახალი გარემოება შექმნა, რომელმაც გერმანეთს ახალი გადაწყვეტილება მიაღებინა.

ნოტაში შემდეგ ნათქვამია: ინგლისის ფლოტს თავისი ძლიერებით ჰსურს დაიმორჩილოს გერმანეთი დამშევით. ინგლისის მეთაურობით რამდენიმე სახელმწიფოს კავშირი ხეპრეთ არღვევს საერთაშორისო უფლებებს და ხელს უშლის არა მარტო თავისუფალ აღებმიცემობას თავისი მოპირდაპირეებისას, არამედ უსინიდისოდ ავიწროებს ნეიტრალ სახელმწიფოებსაც და გასაქანს არ აძლევს აღებ-მიცემობაში. ამერიკელს ხალხს მოეხსენება თუ რაოდენი შრომაა დახარჯული, რომ ინგლისს და მის მოკავშირეებს საერთაშორისო უფლებანი აღასრულებინოს და თავისუფალ ნაოსნობის კანონისათვის პატივი აცემინოს. ინგლისის მთავრობა მაინც ჯიუტობს და ომის განგრძობას აპირებს სრულ დამშევამდე; თუმცა ეს მათ მოპირდაპირის სამხედრო ძალას არ ასუსტებს, მაგრამ მათს ბავშვებს, დედაკაცებს, მოხუცთა და სნეულთ ათას ნაკლებულებას განაცდევინებს, რაიც ეროვნულ ძალღონეს საფრთხეს განუმზადებს. ინგლისის ბატონობა უსულგულოთ ხელს უწყობს ახალ-ახალ ტანჯვის ზრდას და ანგარიშს არ უწევს ადამიანობის მოთხოვნილებას და ნეიტრალ სახელმწიფოთა პროტესტს. საშინელ ომს ყოველ დღე თან მოაქვს განადგურება, აკლება, ტანჯვა და სიკვდილი. გერმანეთის მთავრობა თავს ვერ გაიმართლებდა თავისი სინიდისისა, გერმანეთის ერისა, სამართლისა და ისტორიის წინაშე, რომ ყოველი საშუალება არ ეხმარა ომის დასასრულის დასაჩქარებლად. გერმანეთი იმედოვნებდა ამ მიზნისათვის მოლაპარაკების გზით მიეღწია, მაგრამ რაკი მოპირდაპირემ უარი განაცხადა, იგი იძულებულია ადამიანურ უმაღლესი პრინციპების გულისათვის განაგრძოს მოპირდაპირეთაგან თავზე მოხვეული ბრძოლა არსებობისათვის ყველი შესაძლებელი საშუალებით. ამისათვის იგი იძულებულია მიჰმართოს ყოველგვარ საომარ საშუალებას, რაც კი გააჩნია საზღვაო ბრძოლის საწარმოებლად და იმედი აქვს, რომ ამერიკელი ხალხი და შტატების მთავრობა მიჰხვდებიან ასეთი გადაწყვეტილების მიზეზსა და აუცილებლობას. გერმანეთის მთავრობას იმედი აქვს, შეერთებული შტატები ღირსეულად დააფასებენ შექმნილ გარემოებას და სრულის მიუდგომლობით ხელს შეუწყობენ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას, რომელიც შესაძლებლად მიგვაჩნია. გერმანეთის მთავრობა ელის, რომ ამერიკის მთავრობა გააფრთხილებს ამერიკულ გემებს, რათა ერიდონ გარემოცულ ადგილებს, ხოლო თავის მოქალაქეთ შთააგონებს, რომ არ მიენდონ გარემოცულ ადგილებსა და ნავთსადგურებს შუა მიმომსვლელ გემებს, რომლებიც საქონელსა და მგზავრებს ეზიდებიან.

ნოტას ხელს აწერს ციმერმანი, დართული აქვს ინგლისის გარემოცულ ადგილებისა და საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების რუქა.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: შეერთებულ შტატების მიმართ გაგზავნილი გერმანეთის მემორანდუმი ასე ბოლოვდება: „ამერიკის სამგზავრო გემებს თავისუფალი მიმოსვლა შეუძლიანთ, თუ მხოლოდ ფალმუტამდე ივლიან და სილლის კუნძულს მიადგებიან, რადგანაც ამ გზაზე ნაღმი არ იქნება ჩაწყობილი. ამერიკიდან მომავალ გემებს უნდა ჰქონდეთ საგანგებო ეროვნული ბაირაღები, რომლებიც ღამე კაშკაშით უნდა გაანათონ, რათა შორიდან შეიძლებოდეს მათი გარჩევა. ამ გემებს კვირაში მხოლოდ ერთხელ შეუძლიანთ იმოგზაურონ ყველა მიმართულებით, ფალმუტში უნდა მიდიოდნენ მხოლოდ კვირაობით, ფალმუტიდან გასვლა კი მხოლოდ ოთხშაბათობით შეუძლიანთ. ამერიკის მთავრობამ თავდებობა უნდა იკისროს, რომ ამ გემებზე არ იქნება არავითარი კონტრაბანდა.

**სტოკჰოლმი.** ვენიდან იტყობინებიან: ავსტრია-უნგრეთის მთავრობამაც ისეთივე ნოტით მიჰმართა ყველა ნეიტრალ სახელმწიფოებს, როგორც გერმანეთმა.

**მადრიდი.** 18 იანვარს მინისტრთა საბჭომ გერმანეთის ნოტა განიხილა წყალქვეშა ბრძოლის გაძლიერებაზე. გერმანეთისა და ავსტრიის მთავრობამ ესპანიის მთავრობას აცნობა, რომ ცენტრალი სახელმწიფოები ღონისძიებას იხმარენ სრულიად მოსპონ მოპირდაპირე და ნეიტრალ სახელმწიფოთა შორის აღებმიცემობა. გარემოცულ ადგილებში დაჰღუპავენ ყოველ გემს, ვისი ბაირაღითაც უნდა მოდიოდეს. გერმანეთის და ავსტრიის მთავრობა ყველა გემებს ხუთი დღის ვადას აძლევენ თავ-თავიანთ ნავთსადგურებში დასაბრუნებლად.

მადრიდის პოლიტიკურ წრეებში ამ ცნობამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## საბერძნეთი

**მთავრობის პოლიტიკა.**

სოლუნის გაზეთი „ოპინიონ“- მეფე კონსტანტინეს წინააღმდეგ მიმართულ წერილებს ჰბეჭდავს. ამ გაზეთის სიტყვით, ვენიზელოსელთა მოძრაობა იოლდო ლარისს, ტრიკალს, და პატრასს. იქ, შეჯახებაც მოუხდათ და ძმათა სისხლი დაიღვარაო. ბოლოს გაზეთი დასძენს: მეფის მთავრობა მოკავშირეთა მოთხოვნილებათა ნაწილს დააკმაყოფილებს, რომ მათი მუქარა თავიდან აიცილოს, მაგრამ ეცდება იმდენი ძალღონე შეინარჩუნოს, რომ მოკავშირეებს ზურგიდან დაეცესო.

„ოპინიონის“ ცნობებით, ათინის მთავრობას გერმანეთისაგან ამთავითვე მიუღია 13 მილიონი მარკა.

## გერმანეთი

**ცვლილება მართვა-გამგეობაში.**

„Berlinqske Timdende“ იტყობინება: იმპერატორის უმაღლესი ბრძანებით პრუსიის არსებული მართვა-გამგეობა აღარ შეეფერება თანამედროვე შეცვლილ ეკონომიურს მდგომარეობას და საჭიროა უფრო გასადავდეს. ამისათვის ორი სახელმწიფო მოღვაწისათვის მიუნდვიათ შესაფერი პროექტის შემუშავება. მათ განუსაზღვრელი უფლება მიენიჭათ, გეგმის შედგენაში დაიხმარონ ვინც კი საჭიროდ მიაჩნიათ.

## ინგლისი.

**მუშათა ყრილობა.**

ინგლისის მუშათა ყრილობა დასრულდა. ყრილობამ, სხვათა შორის, 1.500,000 ხმით 700,000 ხმით წინააღმდეგ, დაადგინა: ომის დასრულების შემდეგ, ინგლისის მუშები აღარ შეჰხვდებიან გერმანელ მუშებს საერთაშორისო ორგანიზაციაში.

ყრილობამ დიდი ხმის უმეტესობით დაადგინა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას არ მიემხროს.

რამზაი მაკდონალდმა მოახსენა ყრილობას, რომ ომიანობის დროს ინგლისის მთავრობას სესხად აუღია ოთხი მილიარდი გირვანქა სტერლინგი (58 მილიარდი მანათი). ამ ვალის გასანაღდებლად მთავრობამ ყოველწლივ უნდა დაიწესოს გადასახადი 200 მილიონი გირვანქა სტერლინგისა. (სტერლინგი ეხლა 14 მ. 50 კ. უდრის). ამ ხარჯის შესამცირებლად საჭირო იქნება კერძო პირთ დაგროვილი სიმდიდრე ჩამოართვას მთავრობამ.

ყრილობამ დაადგინა: პირველ საჭიროების ნივთებზე გადასახადები მოისპოს და 75% დაედოს ისეთ შემოსავალს, რომელიც პირადის შრომით არ არის მოპოვებული. კოოპერატივებს არავითარი გადასახადი არ უნდა შეეწეროს.

სარჩევნო ხმის უფლება უნდა მიენიჭოს ყველა მამაკაცსა და დედაკაცს.

ყრილობის დასასრულს დაადგინეს: ყოველი ღონე იღონონ, რომ სამშვიდობო კონფერენციაზე მუშათა წარმომადგენლებს საპატიო ადგილი დაეთმოს. სამშვიდობო კონფერენციაზე მუშათა წარმომადგენლები უნდა შეეცადნენ ისეთ საერთაშორისო კავშირის დაარსებას, რომელსაც შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ვილსონი ურჩევს მებრძოლ სახელმწიფოებს.

## ავსტრია-უნგრეთი

„დაილუ ტელეგრაფ“-ი სწერს: ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ ბრძანე-

ბა გასცა, ჯარში გაიწვიონ მთელი მამაკაცობა, მათ შორის სამხედრო ქარხნების მუშებიც.

ვენის ქალაქის გამგეობამ დაადგინა სამხედრო მთავრობას გადაეცეს ყველა ეკლესიების ზარები. სხვათა შორის წმ. ანნას ეკლესიიდან უკვე ჩამოხსნეს 300 ფუთიანი ზარი.

ავსტრიის საზღვარზე საგანგებო საბაჟოები დაწესდა, სადაც მგზავრებს ხაზინის სასარგებლოდ ართმევენ (დაწესებულის საფასით) ოქროს ნივთებს და ძვირფას ქვებს.

## საფრანგეთი.

**მრეწველთა თაღლითობა.**

საფრანგეთის მთავრობას ზოგი ნივთიერება სჭირდებოდა ასაფეთქებელ მასალის დასამზადებლად. ამისთვის მას 100 მილიონი ფრანკი წინა წარ მიუცია რამდენიმე დიდ მრეწველისათვის კარბიდის დასამზადებლად. გასულა მთელი წელიწადი და მრეწველებს არაფერი არ ჩაუბარებიათ მთავრობისთვის. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ ფულით დამზადებული კარბიდი მრეწველებს უფრო ხელსაყრელ ფასად მიუყიდნიათ შვეიცარიის სავაჭრო სახლისათვის, იქიდან კი გერმანეთში გაუგზავნიათ. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ საფრანგეთიდან გერმანეთში ნალმის დასამზადებლად საჭირო სხვა ნივთიერებაც გაუტანიათ 300 ათასი ფრანკისა. გამოძიება სწარმოებს.

## ნეიტრალი სახელმწიფონი

ჰააგიდან იტყობინებიან: დეპუტატთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: შვეციის წინადადებით ნიდერლანდიის მთავრობამ დაავალა სტოკჰოლმში მყოფ დესპანს, მონაწილეობა მიიღოს იმ წინასწარ თათბირში, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ ნეიტრალ სახელმწიფოებს რამდენად შესწევთ ძალ-ღონე შეიკრიბნენ და გაითვალისწინონ ომის შემდეგ ეკონომიური მდგომარეობა.

## უმაღლესი ბრძანებანი

(პეტ. ღეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** 20 იანვარი. უმაღლესის ბრძანებით კავალერიის გენერალი ოსტროგრადსკი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა.

ტაინი სოვეტნიკი, სახელმწიფო საბჭოს წევრი ჩებიშევი იუსტიციის მინისტრის ამხანაგად დაინიშნა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ანციფეროვი სენატის წევრადაც ჩაირიცხა.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კუზმინსკი სენატის წევრადაც ჩაირიცხა.

სასახლის კამერგერი ვესტმანი სენატის წევრად დაინიშნა.

სტატსკი სოვეტნიკი იორდანოვი სენატის წევრად დაინიშნა.

## ახალი ამბავი

**✦ ქართველი ქალაქის თავი ლაზისტანში.** ქალ. ათინის (ტრაპეზუნის ოლქი) მოურავად დაინიშნა ქ. გორის მოურავად ნამყოფი ზაქარია ქიტიაშვილი.

**✦ სოფლის გაჭირვება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას დასავლეთ საქართველოს ბევრი სოფელი საკვებ მასალის შოვნას სთხოვს განსაზღვრულ ფასებში. ვინაიდან საზოგადოება თითონ აღარ აწარმოებს სასურსათო ოპერაციებს, ამიტომ იმან მიმართა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს და სთხოვა მიაწოდოს სურსათი სოფლებს. ამ ს პასუხად საზოგადოების მთავარ გამგეობას უპასუხა კავშირმა, რომ ამჟამად კავშირს შეძლება არა აქვს დახმარება აღმოუჩინოს სოფლებს სურსათის მოწოდებით, ხოლო ახლო მომავალში-კი, იმედია, ქუთაისის განყოფილებელი პუნქტი შესძლებს ასეთ დახმარებას, მაგრამ დაეხმარება იმ სოფლებს, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ კოოპერატივებთანო.

**✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში.** 20 ნოემბრის სხდომაზე დრამატ. საზოგ. გამგეობამ მოისმინა უარი ბ. ნ. ქართველიშვილისა და გრობის წევრობაზე და ერთხმად დაადგინა: ეთხოვოს ბ. ქართველიშვილს დარჩეს გამგეობის წევრად და იყოს ოს ანტრეპრიზის საქმის გამგე.

— ერთის კრების განკარგულებით გამგეობამ მოიწვიოს თეატრის ...ლის შენებელი კომისია და დაევალოს გამგეობის წევრს ი. გედევანიშვილს, დაამზადოს მოხსენება ამ კრებისთვის.

— 24 იანვრისთვის მოწვეულ იქნას კომისიის და საიუბილეო კომისიის და გამგეობა შეუდგეს იუბილეს გამართვის საქმეს.

— გამგეობამ დაასახელა აგრეთვე მოსაწვევი პირები იმ კომისიათა, რომელნიც გამგეობის წევრებთან ერთად გაუძღვებიან ბიბლიოთეკისა, რევიზიისა, მსახიობთა პროფესიონალურ კავშირისა და სადრამატიულო კურსების მოწყობის საქმეს.

**✦ სპირტის დაჭერა.** თბ. რკ. გზის სადგურზე ჟანდარმმა პოპოვმა დაიჭირა არტემ არუთინოვი, რომელსაც სამი ვედრო სპირტი მიჰქონდა მოსკოვში გასასყიდად.

**✦ მღ. პოლ. კარბელაშვილი.** გაზეთ „სამშობლოში" (№ 533) დაბეჭდილია საინტერესო წერილი ჩვენის ისტორიკოსის მღ. პ. კარბელაშვილისა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების შესახებ. სამწუხაროთ წერილს ბოლო მოკვეცილი აქვს ცენზურის მიერ.

**✦ შესამჩნევად შესუსტდა** თბილისში ქუნთრუშა და ხუნაგი. სამაგიეროდ ერთობ ბევრია შავი სახადით და შექცეულ საოფლით ავადმყოფთა რიცხვი. ამ სენით ავადმყოფნი უმეტეს შემთხვევაში სამხედრო ასპარეზიდან მოჰყავთ.

**✦ გარდაიცვალა** „კავკასკოე სლოვო"-ს თანამშრომელი პ. მ. ტკაჩენკო. რედაქცია გაზეთისა განსვენებულის ცხედრის დაკრძალვას თვითონ კისრულობს.

**✦ ილ. ივ. წინამძღვრიშვილის** მთელი მამული წინამძღვარიანთ-კარში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი არსებობს, აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა ხელში გადავიდა.

**✦ კახეთის რკინის გზის** გამგეობის მიერ შემუშავებულ ახალის ვარიანტის თანახმად ქალაქმა ამ გზის საჭიროებისათვის უნდა დაუთმოს 28,000 კვ. მხარი მიწისა ნავთლუღში, იმ მიდამოში, სადაც პოლიტეხნიკუმი უნდა გაშენდეს. ქალაქის გამგეობა უარზე დგას.

**✦ ხელოსანთა კლუბის** ადმინისტრაციამ ხელოსანთა გამგეობას გადასცა, ახალ წლის ღამეს ხელოსანთა შორის კლუბში შეგროვილი 380 მან. ჯარში მყოფ ხელოსანთა ოჯახების სასარგებლოდ, ხოლო 23 მან. 30 კ. გადასცა ტყვედ წაყვანილთა დამხმარე კომიტეტს.

**✦ ს. კაკაბაძის რეფერატი.** მომავალ პარასკევს, 27 იანვარს, სომეხ მწერალთა საზოგადოებაში ბ-ნი სარგის კაკაბაძე რეფერატს წაიკითხავს შოთა რუსთაველისა და მის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ.

**✦ შეწირულება.** კავკავში გარდაიცვალა ექ. მ. გ. ბურდული, რომელსაც კარგა მოზდილი ბიბლიოთეკა დარჩა. განსვენებულის ძმამ გ. მ. ბურდულმა ეს ბიბლიოთეკა ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებას შესწირა.

**✦ ვისრამიანის ახალი გამოცემა.** მოკლე ხანში დაიწყება ბეჭდვა „ვისრამიანისა" იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. წიგნს ჩაერთვის წინასიტყვაობა, სხვა და სხვა განმარტებანი და ვრცელი ლექსიკონი.

**✦ კვირას 9 საათზე** პეტროგრადიდან თბილისში ჩამოვა პრინც. ალ. პ. ოლდენბურგელი.

**✦ თ. კ. აფხაზი და საპროფესიო განათლება.** მოსწავლეთა დამხმარე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წლიურ კრებაზე საგუბერნიო მარშალმა თ-დმა კ. აფხაზმა ილაპარაკა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენის შესახებ. განსაკუთრებით კი კრების ყურადღება მიაქცია საპროფესიო განათლების საჭიროებას. მას განზრახული აქვს მოკლე ხანში გამართოს განსაკუთრებული თათბირი ამ საგნის გამო.

**✦ „ცისფერი ყანწების" საღამო.** „ცისფერი ყანწების" საღამო გაიმართება საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში (გრიბოედ. ქ. № 8) 2 თებერვალს. ბილეთების გაყიდვა უკვე დაიწყო ქართულ საჩაიეში. იმ პირთ, ვინც ბილეთებზე წინასწარ ჩაეწერა, ბილეთები 23 იანვრამდე შეინახებათ; ვინც ამ დრომდე არ წაიკითხავს, გაიყიდება.

**✦ ქართულ ექიმთა საზოგადოება.** ორშაბათს, იანვრის 23, სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქუჩა № 2), დანიშნულია მორიგი კრება ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოებისა. ამ კრებაზედ ექიმი მ. . გედევანიშვილი წაიკითხავს შემდეგ ორ მოხსენებას: 1) სახსნერვის ოპერაციის და სიდამბლე და 2) ბ-ნის კუ. ექიმი მ. გ. მუხაძე წაიკითხავს მოხსენებას რუსის დოსტაქართა მე-XIV-ე ყრილობის (მოსკოვში) შესახებ. კრების დასასრულს აირჩევენ ახალ წევრებს.

**✦ ქალაქის გამგეობამ** მოხსენება უნდა წარუდგინოს ქალაქის საბჭოს სამგზავრო იტლებზე ნიხრის გადიდების შესახებ.

**✦ სომეხთა ახალგაზრდა დრამატურგმა ვ. ვალადინმა** ახალი დრამა დასწერა, რომელსაც ჰქვიან „ქარ-ბუქი."

**✦ ქალაქის გამგეობამ გადსწყვიტა** ალექსანდრეს სახელობის საქალაქო ვენერიულ საავადმყოფოში 50 დე აუყვანოს საწოლების რიცხვი.

**✦ გადმოხვეწილთა სკოლების მასწავლებლებმა** ჯამაგირების მომატება ითხოვეს, მაგრამ საჭირო თანხის უქონლობის გამო უარი გამოეცხადათ.

**✦ ფუტურისტების საღამო.** დღეს, 21 იანვარს, სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში გაიმართება ფუტურისტთა საღამო. მონაწილეობას ღებულობენ ვ. კამენსკი, ქ-ნი ვ. ლიხაცკაია და ქ-ნი ს. ტრუშჩოვა.

**✦ ქალაქთა კავშირი.** სარევიზიო კომისია ქალაქთა კავშირის შეწირულებათა მიმღებ განყოფილების რევიზიას შეუდგა.

### ზუგდიდი.

სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწე ღვალი ზუგდიდის მაზრის უფროსად დაინიშნა.

## ჩვენის დროის სახელმწიფო და კლასი

დღევანდელი ფორმა სახელმწიფოსი არის დროებითი და სავსებით ვერ გამოჰხატავს მის ფართო მცნებას. სახელმწიფოს თვის განვითარების პროცესში დღემდე სხვა და სხვა სახე განუცდია. ძველნი მონარქიულნი და დემოკრატიულნი სახელმწიფონი გაჰქრენ და მათი ადგილი დაიჭირეს ფეოდალურ წყობილების სახელმწიფოებმა. ხსენებულ ტიპის სახელმწიფოებში წოდებრივი ელემენტი საზოგადოებრივ-ჯგუფობრივსა სჭარბობდა. მაგრამ ახალ ხანის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში წოდებამ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა მიიღო ან სულ გაჰქრა და პირველი ადგილი დაიჭირა საზოგადოებრივმა ჯგუფმა—კლასმა. სახელმწიფო ცხოვრებაში კლასს დიდი მნიშვნელობა აქვს და ძლიერ ხშირად ესა თუ ის კლასი თავ ს კვალს აჩნევს სახელმწიფოს სახეს. ყოველ კლასს ამოძრავებს თვისის კლასობრივი ინტერესის შეგნება; და რამდენადაც ძლიერია კლასი, იმდენად მეტ გავლენას ახდენს სახელმწიფო მართვა-გამგეობაზედ. ხშირად სახელმწიფო მოგვევლინება ხოლმე რომელსამე კლასის პოლიტიკის გამომხატველად.

რომ გადავავლოთ თვალი დღევანდელ სახელმწიფოებს, დავინახავთ, რომ ერთ ადგილას სახელმწიფო პოლიტიკას აწარმოებენ აგრარიები, მეორეს—ბურჟუაზია, მესამეს—დემოკრატია, და ამ რიგად ადამიანს, ერთის შეხედვით, ეგონება, რომ სახელმწიფო რაღაც ხელიდან-ხელში გამოსატაცებელი საგანი ყოფილა და თავისი პირდაპირი დანიშნულება არა ჰქონია, გარდა ამისა, რომ რომელიმე კლასის იარაღის როლს ასრულებდა. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ სახელმწიფო უმნიშვნელო ფორმა იქნებოდა საზოგადოებრივის ცხოვრებისა და ამასთანავე მავნეც, რადგან სახელმწიფოს სისტემას განსაზღვრული ტერიტორია უჭირავს და მის სივრცეზე მოსახლე ხალხს თავს მოახვევდა ისეთ კანონებს, რომელნიც ან სრულიად ვერ დააკმაყოფილებდნენ მოქალაქეთა ინტერესებს ან და მათის ინტერესების დიამეტრულად წინააღმდეგი იქმნებოდნენ.

მაგრამ არა; სახელმწიფოს აქვს თავისი პირდაპირი დანიშნულება; და თუ რომელიმე კლასი მას თვის იარაღად აქცევს, მაშინ სახელმწიფო ანორმალურ მდგომარეობაში ვარდება. ისტორიას არა ერთი მაგალითი ახსოვს იმისა, რომ რომელიმე კლასის ან საზოგადოებრივის ჯგუფის, ან წოდების გაბატონებას სახელმწიფო სრულიად დაეღუპოს ან და მისი წარმატების სვლა უკუღმა დაეტრიალებინოს. რომელიმე ჯგუფის ასეთი გაბატონება სახელმწიფოს თავის შინაარსს უკარგავს. მხოლოდ ფორმალა-რჩება სახელმწიფოსი, რადგან სახელმწიფო მოწოდებულია შეასრულოს ზოგადი საზოგადოებრივი ფუნქცია და არა ერთი რომელისამე კლასის ბრძანება. სახელმწიფოს ინტერესი სულ სხვაა და კლასისა—კიდევ სულ სხვა. ხდება ისიც, რომ კლასი და სახელმწიფო ერთმანეთს შეხვდებიან საერთო ინტერესის ნიადაგზედ, მაგრამ მოტივიცა და მიზანიც სხვა და სხვა აქვთ.

იმ დროს, როცა სახელმწიფო დარაზმულ ერთეულს შეადგენს, კლასი მასთან შედარებით მხოლოდ სუროგატია. სახელმწიფოს დანიშნულებაა დაცვა მოქალაქეთა ქონებისა და უფლებათა ყოველგვარ გარეშე და შინაურ კირთებისაგან. შინ განუსაზღვრელია, მაგრამ მისი მოქმედება საერთაშორისო ფერხულში განსაზღვრულია. მას გარეშე მტერთან ბრძოლა უხდება ხან მოგერიებით, ხან შეტევით. სახელმწიფო იბრძვის თვისი მეურნეობის გასაძლიერებლად და მის რაციონალ დასანაწილებლად.

კლასი უფრო ეგოისტია. მასა ჰსურს მხოლოდ თავის-თავის დაცვა და თუ კი მოახერხებს, სრულიად გაბატონდეს კიდეც. ოღონდ მის ჯიბეში კი ჩავიდეს რამე და სულ ერთია მისთვის, სხვის ჯიბიდან იქნება იგი ამოღებული, თუ თავისივე სახელმწიფოს მეორე კლასის ჯიბიდან. იგი გატაცებულია თვისის ვიწრო კლასობრივის მისწრაფებებით და ხშირად სახელმწიფოს დაღუპვის გზისაკენ მიაქანებს. არც დემაგოგიას არის მოკლებული კლასი. კლასის წარმომადგენელნი თავის სიტყვას საკანონმდებლო დაწესებულებებში ძლიერ ხშირად სახელმწიფოს სარგებლიანობიდან იწყებენ ხოლმე. თუ რამდენად სხვა და სხვა საზომი აქვთ სახელმწიფოს და კლასებს საზოგადოებრივ მოვლენათა შეფასებაში, მოვიყვანთ ერთს მაგალითს, რომელიც გამოაშკარავებს მათს ფიზიონომიას. ვთქვათ, სახელმწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებაში ირჩევა კითხვა შემოსულ საქონლის ბაჟის შესახებ.

დემოკრატიას ჰსურს ბაჟი მინიმუმამდე შეამციროს ან სრულიად მოსპოს, რადგან იაფი უცხო საქონელი შინაურ ფაბრიკატის ფასსაც დასცემს და მუშას საშუალება ექნება იაფად შეიძინოს უფრო მკვიდრი და მეტხარისხოვანი საქონელი, რადგან არჩევანი დიდი ექნება. ბურჟუაზიასა ჰსურს ბაჟის გადიდება ან და მაქსიმუმამდე აყვანა, რადგან უცხო საქონელს მისი ფაბრიკატი მეტოქეობას გაუწევს და ბაზარს ჩაიგდებს ხელში და ამასთანავე ზედ-მეტ მონაგარს მიიღებს. სახელმწიფოს კი ჰსურს ისეთი ბაჟი შემოიღოს, რომელიც ხელს შეუწყობდეს სახელმწიფო მეურნეობის ზრდას და ძლიერი მეურნეობა მის ბიუჯეტს გაზრდიდეს. ამ მიზანთა კოლიზიაში სახელმწიფოს უპირატესობა და გონიერება აშკარაა. თუ დემოკრატიამ გაიმარჯვა და ბაჟი მინიმუმამდე შემცირდა ან სულ მოისპო, მაშინ შინაური მრეწველობა განადგურდება. დემოკრატიას შინაურ ბურჟუაზიასთან კი აღარ ექნება საქმე, არამედ უცხო ბურჟუაზიასთან, რომელსაც ჰყავს თავისი საკუთარი მფარველი, საკუთარი სახელმწიფო. უცხო ბურჟუაზიას ყოველწლივ გააქვს დიდი მონაგარი და პირველს სახელმწიფოს მეურნეობას რაც აკლდება, უცხო ბურჟუაზიის სახელმწიფო მეურნეობას ემატება. პირველი სახელმწიფო ნელ-ნელა ეცემა და მეორე სახელმწიფოს ეკონომიურ გავლენას უვარდება ქვეშ, რასაც ზურგს უკან ახლავს პოლიტიკური გავლენაც. ამ ნაირად, იზარალებს პირველი სახელმწიფო და თუნდაც ეს სახელმწიფო სრული იარაღი იყვეს დემოკრატიისა, იგი ბლაგვი იქნება და უძლური. ბლაგვი იარაღით ვეღარც დემოკრატია გაიკვლევს გზას. თუ ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, იგივე ბოლო მოელის სახელმწიფოს. მეტის-მეტად ფარვილი სახელმწიფოსაგან ბურჟუაზია ტეხნიკის გაუმჯობესებისთვის არა ფიქრობს; დემოკრატია ლატაკდება. სახელმწიფო მეურნეობას ზრდა არ ეტყობა, რადგან შინაურ კაპიტალის ადგილის ცვლა ხდება და არა მისი მოძრაობითი ზრდა. სახელმწიფო ფისკიც ზარალობს, რადგან უცხო საქონლის ბაჟის შემოსავალი აკლდება. უცხო საქონელი ვეღარ შემოვა, რადგან მეტოქეობას ვერ გაუძლებს. გაძლიერებული გამარჯვებული ბურჟუაზია სამრეწველო გადასახადს შეამცირებს და ის კაპიტალი, რომელიც მის ხელში იქნება, უნდა დალპეს, რადგან საექსპორტო მრეწველობას ვერ აწარმოებს. ტეხნიკა თუ განუვითარებელია და საქონელი მდარე, უცხო ბაზარზედ ვეღარ აჯობებს სხვას და, ერთის სიტყვით, სახელმწიფოც და თითონაც სამარეს გაითხრიან.

სახელმწიფოს კი თავისი გზა აქვს და მან უნდა გულმოდგინეთ შეასრულოს თვისი დანიშნულება. მან უნდა გამონახოს ისეთი ფორმა ბაჟისა, რომელმაც არ მოჰკლას შინაური მრეწველობა იმ შემთხვევაში, თუ ბურჟუაზია უნარს გამოიჩენს ტეხნიკის და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რადგან კულტურული და უზრუნველყოფილი მუშა მეტს ღირებულებას შეჰქმნის, ვიდრე სიღარიბისაგან განიავებული და ბნელი. სახელმწიფომ ცოტა მონაგარი მაინც უნდა აჩვენოს ბურჟუაზიას. თუ ბურჟუაზიამ გაამართლა სახელმწიფოს იმედები, იგი კიდევ ამცირებს ბაჟს და ამ რიგად დემოკრატიაც შეისრულებს თავის სურვილს ერთ დროს, მრეწველობაც დაეწევა სხვა ქვეყნის მრეწველობას და სახელმწიფოს მეურნეობაც გაიზრდება. ძლიერი მეურნე სახელმწიფო ძლიერ ბიუჯეტს ჰქმნის და საერთო ცხოვრებას წარმატება დაეტყობა. აყვავდება მხარე, გამშვენიერდება ქალაქი თუ სოფელი და ასეთი სახელმწიფოს დემოკრატიის ცხოვრება კი უფრო კულტურული იქნება, ვიდრე სუსტი მეურნეობის სახელმწიფოს ბურჟუაზიისა. რით არა სჯობიან ამერიკელ მუშის ცხოვრება ჩვენის ქართველ „აგრარიების" ცხოვრებას.

მაშ, სახელმწიფოს ინტერესი სხვა ყოფილა და ამავე დროს სასარგებლო ყველა მოქალაქეთათვის. მისი ინტერესი მაღლა მდგარა კლასის ვიწრო ინტერესზედ ისევე, როგორც კლასის ინტერესი მაღლა სდგას პირად ინტერესზედ. სახელმწიფოს ინტერესი უზენაესი ინტერესია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჯერ სახელმწიფო და მერე კლასი, ჯერ კლასი და მერე პიროვნება. არიან ისეთი სახელმწიფონი, სადაც ეს შეგნება, სახელმწიფოს უზენაესობისა, არსებობს. დღევანდელმა ომმა ნათლად დაგვანახვა ეს. ზოგიერთი კულტურული სახელმწიფონი მოგვეჩვენნენ მჭიდროდ შეკავშირებულნი თვისის შემადგენელ ნაწილებით. დღეს ბურჟუა, პროლეტარი, მემამულე, მეცნიერი, ერი თუ ბერი ერთად მოქმედებენ თავისი სახელმწიფოს დასაცავად. ესეთი შეგნება მაჩვენებელია კაცობრიობის კულტურულ წინსვლისა და იქნება დრო, როდესაც იგი საერთო მოვლენად გახდება. საცა არსებობს კლასობრივი შეგნება, იქ სახელმწიფოებრივი შეგნების უზენაესობაც განმტკიცდება, როგორც ლოღიკური დასკვნა პირველისა.

ა ე.

## სამი ხელნაწერი

### ეტრატოვან ფურცლითურთ

სულთა მატიანემ თურმე ფრიად დააინტერესა საზოგადოება. ყველანი ყოველ მხრიდამ მპირდებიან ახალ-ახალ ძეგლებს, ნაშთებს. ამასვე მპირდებოდნენ მღვდლები, რომელნიც დეკემბერში შეკრებილიყვნენ ყუვლად პატიოსანის, საინგილოს ყოვლ კეთილმოწესის იროდიონ ოქროპირიძის მოთავეობით. მრავალნი, როგორც სჩანს მათის ლაპარაკიდამ, გაფაციცებით დაეძებენ ძველს ეტრატოვანს ნაშთებს, რათა ჩვენს აწ არსებულ მდიდარ მუზეუმებს კვლავ მიეცეს და მიემატოს.

ჯერ ჩამოვიტანეს კახეთიდამ სამი ხელნაწერი, რომელთაგან ერთში აღმოჩნდა ერთი ფურცელი მეოთხისა.

ა. შვენიერის ხელით დაწერილი „ეტიმოლოგია, ესე იგი არს მზამეტყველება" სულ 32 რვეულია. თავი და ბოლო მოშლილი აქვს.

ბ. ამაში იდო ფურცელი სხვა წიგნისა. ტექსტი გადარჩენილა ერთს გვერდზე და საყურადღებოა: „სიმბოლო სარწმუნოების" 12 მუხლი განაწილებულია 12 მოციქულთა შორის ასე:

ა. **პეტრე**—მრწამს ღმერთი მამა...

ბ. **იაკობ**—და უფალი ჩვენი...

გ. **იოანე**—რომელი სულისა მიერ წმიდისა მუცლადღებითა მარიამისაგან ქალწულისა იშვა

დ. **ანდრია**—პონტოელისა პილატესზე ივნო...

ე. **ფილიპე**—ჯოჯოხეთად შთაკდა და...

ვ. **თომა**—ამაღლდა...

ზ. **ბართლომე**—მომავალ არს...

. . . . . (დანაშთენი მოხეულია).

გ. შესანიშნავი, თუმცა უკვე ცნობილი „მოთხრობა შჯულთა ულთოთა თათრისათა, გამოკრებილი და სიტყვის-გება ქრისტიანეთ მიერ, თქმული ბატონიშვილის ბაგრატისა". გადაწერილია წვნიკი მხედრულით სტეფანეს მიერ და მიძღვნილი გარეჯის უდაბნოს არხიმანდრ. გრიგორისთვის (—შემდეგ სამეგრელოს ეპ. გრიგოლი) 1885 წელს ივლისის 11-ს.

გვ 18: ...თუ თქუას ვითარმედ „ვინ გაქუს წიგნები იგი, რამეთუ არა ხარ ისრაელი, არცა ბერძენი, არცა ასური, არცა ჰრომი, არამედ ხარ ქართველი", მიუგე მას: რაოდენიცა წმინდანი ქრისტესნი სასწაულთმომქმედნი პირველ მოჰმედისა იყვნეს, ყოველთავე ფიდამბარად უწოდთ და ეწამებით; აწ უკვე იყუნეს უწინარეს მოჰმედისა კაცნი წმინდანი და სასწაულთმომქმედნი ნათესავით ქართველნი დავით, სტეფანე, არსენი... ძათ გვითარგმნეს ჩვენ წიგნები ესე ყოველი ბერძნულისაგან ქართულად... შესწავებათ.. დავით და სტეფანე ძველადვე იყვნეს იერუსალიმს და გვითარგმნეს ყოველი წიგნები ბერძნულისაგან ქართულად და არაბულისაგანცა... (შემდეგ ცნობებია შესახებ სხვა მთარგმნელებისაც: ეფთვიმისა, ეფრემ მცირისა, ... ს, გიორგისა და ...).

დ. ხუცურად დაწერილი „სამადლობელი თხოვითა..." სულ 12 ფურცელია. მეცხრე ფურცელზე:

„მერმეცა გევედრებით კეთილმსახურისა და უგანათლებულესისა მეგრელიის მთავრისა **დავით** ლეონისძის **დადიანისათვის**. უფალო შეგვიწყალენ.

„მერმეცა გევედრებით მეუღლისა მისისა კეთილმსახურისა და უგანათლებულესისა მეგრელიის მთავრინასა **ეკატერინა** ალექსანდრეს ასულისათვის. უფალო შეგვიწყალენ.

„მერმეცა გევედრებით მემკვიდრისა მისისა კეთილმსახურისა და უგანათლებულესისა **ნიკოლოზ** დავითისძისა და **სალომე** დავითის ასულისათვის. მგალობელთა: უფ. შეგვიწყალენ.

„მერმეცა გევედრებით კეთილმსახურთა და უგანათლებულესთა მეგრელიის მთავრის ძეთა, სძალთა და ასულთა **გრიგოლ** და მეუღლისა მისისა, **კონსტანტინე** ლეონის ძისა და **ნინო** ლეონის ასულისა, და ყოვლისა პალატისა და მხედრობათა მათთათვის".

ესრე იყო გუშინ.

დღეს კი, დადიანებში კაცი არა სჩანს, რომ თავის სახელოვან გვარეულობის ამბავი შემოეკრიბა და დაებეჭდა.

ა. ეტრატის ფურცელი. სხვა წიგნის ფიცრის ყდაზე ყოფილა გადაკრული. ზედა-პირი ფურცლისა თუმცა დაძველებულა და გამჭვარტლულა, მაგრამ მაინც მკაფიოდ ჩანს მისი თავდაპირვანდელი მორთულ-მოკაზმული კამარა და მის შუაგულში უხვად გადაშლილი ყვავილედი.

ვინ არის, რომ აღადგინოს ძველის სხოვნობით ეს საკვირველი ყვავილედი ან თავის სახლის სამკაულად მოიხმაროს ეს და მრ. სხვა კამარედები, საოცრად გამოხატული დვალებისა და სხვეთა მიერ.

მ. ჯანაშვილი.

## ექსორია ყოფილნი ქართველნი სასულ. პირნი

როგორც ერთხელ მოხსენებული იყო გაზეთებში, საქართველოს ეგზარხოსი პლატონი შუამდგომლობს უმაღლეს სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ საქართველოში დაბრუნებულ იქმნენ ის პირნი, რომელნიც ნებსით, თუ უფრო უნებლიეთ, გაჰშორებიან თავის სამშობლოს. მართალია თუ არა ეს ხმა, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ქართველ საზოგადოებას, სასულიერო, თუ საერო პირთ, მართებს დავიწყებას არ მისცეს ზრუნვაც სამშობლოსათვის გულშემატკივარ პირთა დაბრუნებისათვის. დიდი დანაშაულია ასეთი გულმავიწყობა, როგორიც გამოიჩინა, მაგალითად, ახლად მომხდარმა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებამ ამ საგნის შესახებ. დღეს ჩვენის სამღვდელოების წარმომადგენლებად, ჩვენი ეკლესიის მესაიდუმლედ მიჩნეულნი არიან ხოლმე ისეთნი, რომელნიც არაოდეს არ შეუბრუნებენ სიტყვას თავისამი კეთილად განწყობილ ბატონს, რომელნიც თვისის შემგუებელ ღიმილით და მოქნილის ქედის მოხრებით მაგრად, და ძალიან მაგრადაც, განმტკიცებულნი არიან თავიანთ ადგილებზე, რომელთაც აზრადაც არ მოუვათ საზოგადო საქმეზე თავი აატკივონ და ამ ფანდებით თავისებურად ტკბილად, თბილად და მაძღრად ატარებენ თავიანთ უშფოთველ დროს, თან, ეგრედ წოდებულ, ჯილდოებსაც ღებულობენ და ესრეთ მაღლდებიან თავიანთ თვალში და ჩვენის დაცემულ და დაბრმავებულის საზოგადოების თვალშიაც. ვის აგონდება ცივ ქვეყნებში გამგზავრებულნი პირნი? ჩვენი საზოგადოება უუნებლად გადარჩენილ „მოღვაწეებითაც" თოლად მიდის!

ნუ მოვიძულებთ ჩვენს საუკეთესო პირთ. ყველამ თანაგრძნობა გამოვუცხადოთ მათ და ყოველ შემთხვევაში მოვითხოვოთ მათი მდგომარეობის შემსუბუქება და, თუ შესაძლებელია, სამშობლოში დაბრუნება. კირიონი და დავით ეპისკოპოსნი, არქიმანდრიტი ამბროსი ჩვენთვის და არა თავის პირად საქმეთათვის არიან სრულიად უდანაშაულოდ დასჯილნი. არც კი აძლევენ ნებას სამშობლოში დროებით მოსვლისას. ისინი ჩვენთვის არიან საჭირონი უფრო, ვიდრე თავისს თავისათვის, მაგრამ ამის შეგნება არა გვაქვს. ამ საგანზედ ბევრი დაწერილა და ბევრჯერაც უნდა დაიწეროს, სანამ ჩვენი ხმა შესმენილი არ იქნება.

კიდევ მივაქცევთ ქართველ საზოგადოების ყურადღებას, რომ აღნიშნული პირთა მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქმნეს. განსაკუთრებით ვთხოვთ ქართველ თავად-აზნაურობის წინამძღოლს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო საბჭოს წევრს თ. აბხაზს, რომელსაც დღევანდელ გარემოებაში შეძლება და გამავლობაც აქვს, ვიდრე სხვას ვისმე ჩვენში, აღიმაღლოს ხმა დაჩაგრულთა საქომაგოდ. თუ მათ დანაშაული მიუძღვისთ, დაე გაასამართლონ, თუ არა და მოასვენონ ამდენი ხნის ტანჯვის შემდეგ!..

ხ.—ხევილი.

## ნინოობა ბაქოში

ოცდა მეექვსე წელიწადია, რაც ტრადიციული სალამო ნინოობა ბაქოში იმართება ყოველ წლივ. სალამოს მომწყობია ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ადგილობრივი განყოფილება. სალამოს ერთად ერთ მიზანს შეადგენს შემოსავალი. ესწრებიან რუსები, სომხები, პოლონელები და მეტ წილად თათრები. წლევანდელი სალამო, რომელიც გამართულ იქნა 14, ნინოობას, თამამად შეიძლება ითქვას, ყოველ მხრით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

პირველად, შ. დადიანის და ე. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნა ერთ მოქმედებიანი მხიარული ვოდევილი. შემდეგ ალ. წუწუნავას მიერ დადგმულ იქნა შ. შარაშიძის „ავგაროზი“-ის უკანასკნელი მოქმედება ლხინით და ცეკვა-თამაშით. ეს უკანასკნელი რუსულად დადგა ბ-ნმა წუწუნავამ და ეტყობოდა ბევრი შრომაც დაეხარჯნა. მონაწილეობას იღებდნენ რუსი მსახიობებიც: ქ. ბ. პონტკოვსკაია, პოკორსკი და სხვ. დიდად ნასიამოვნები დარჩა მრავალრიცხვოვანი დამსწრე საზოგადოება ელო ანდრონიკაშვილის და თავ. აბაშიძის ქართულ ცეკვით, და მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს და რამდენიმეჯერაც გაამეორებინეს. გუნდმა შეასრულა „სამშობლო“, „გოგონა“ და სხ. მესამე განყოფილებაში ვ. სარაჯიშვილმა ძლიერ ასიამოვნა თავის მოხდენილის სიმღერებით ხალხი. ბოლოს დიდზალაში გაიმართა ვახშამი, თან მოჰყვა ცეკვა-სიმღერა და მხიარულება, რომელმაც დილის 6 საათამდის გასტანა. სტუმრები კმაყოფილნი დაიშალნენ. შემოსავალი ოც ათას მანეთს აღემატება.

სალამოს დიასახლისობდა თავადის ქალი თამარი გ. დადიანისა.

თენგიზი

## წერილი სოფ. კორბოულიდგან

(ზემო-იმერეთი)

**(ეროვნულ სიმდიდრის განიავება ანუ ჭალის მთის (საბაშიო) შესახები სამწუხარო ცნობანი).**

სხვა მთებს შორის ზემო-იმერეთში პირველი ადგილი უჭირავს ჭალის, ეგრეთ წოდებულ „საბაშიო“ მთას, რომელიც სივრცით 52 ათასს დესიატინას აღემატება. მდებარეობს ზემო-იმერეთის აღმოსავლეთის სულ განაპირა კიდურზედ და გადადის გორის მაზრის ეგრედ წოდებული „სამაჩაბლო“ მთის საზღვრებამდე, ხოლო ჩრდილოეთით რაჭის საზღვრამდე.

რა ჯიშის ხე გინდათ, რომ აქ არ ხარობდეს! ვერ ასწერს ადამიანის ხელი ტყის სიმშვენიერეს. აი სწორეთ ეს დიდებული მთა ილუპება და დაუზოგველათ ისპობა... ამ მთას პატრონობდნენ თავდაპირველათ 40—50 მეკომიური აზნაური აბაშიძეები, მაგრამ, ვინაიდგან ამ აბაშიძიანთ გათხოვილ ქალიშვილებს იმათი მშობლები ამ მთაში მონაწილეობას არ უკარგავდენ, ამისათვის იმათაც მზითვის სახით ამ მთის მონაწილეობაში წილს უდებდენ და ამნაირად აბაშიძეების გვარს მიემატა ზედმესულ სიძეების გვარებიც: წერეთლები, აბდუშელიშვილები, მაჭავარიანები, კურცხალიეები, იაშვილები, ჯაფარიძეები და მრავალი სხვანი. ასე და ამნაირათ, ამ მთის მეპატრონეთა რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. როგორც ზოგიერთმა მეპატრონეებმა გადმომცეს, აზნაურნი ყველა მონაწილენი დიდათ სცდილობდენ ამ მთის გაყოფას, მაგრამ მის გაყოფ-განაწილებას დღემდის არა ეშველა-რა. და სწორედ ეს უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ თითქმის ყველა მონაწილეებმა ზედმესულ სიძეებთან ერთად იწყეს თავიანთი კუთვნილი მონაწილეობიდგან, გაუყოფლად, რამოდენისამე ნაწილის გაყიდვა, და ამ სახით ამნაირ მსყიდველთა რიცხვი ამ ჟამად 1500 აღემატება. და ვინ გინდათ, ამ მსყიდველებში არ ერიოს: ვაჭარი, აზნაური, გლეხი, სასულიერო უწყება და სხვა, რომელნიც კალიასავით შეესივნენ ამ უმშვენიერეს მთას და სპობენ. სამწუხარო სანახაობას წარმოადგენს ამ ხანათ ეს მთა: მუხა და წაბლი თითქმის სულ გააწყვეს; ცაცხვი, ერთი რომ სჭირდებოდეთ, 2—3 ძირს ტყუილად წააქცევენ და ალპობენ და საცაა ამის სახსენებელსაც გააწყობენ. ქორაფის, თხმელის, წიფლის და სხვა ჯიშის ხეებისათვის ჯერ სავსებით ვერა დაუკლიათ-რა, მაგრამ მალე ამათაც აუვებენ წესს და მერე ნეტავი რაღას ფიქრობენ, სულ რომ მოატიტვლებენ?!..

ეს მთა საშენი, თუ საწვავი ტყის გარდა მდიდარია სამკურნალო წყლებით და ათასნაირი მადნეულობით, პირველი ადგილი უჭირავს შესანიშნავ სამელ მჟავე, რკინისა და გოგირდის წყლებს, რომელთა ღირსება აღიარებულია როგორც ადგილობრივ, ისე მომსვლელ ექიმ-მკვლევართა მიერ. ამას გარდა ვის არ გაგვგონებათ განსვენებულ თავად ივანე მუხრან-ბატონის და ჩვენის მწერლის გიორგი წერეთლის შრომა-მაცადინეობა ამ მთაში ნავთის აღმოჩენის შესახებ. ესენი ერთ ხანს თბილისშიაც კი ეზიდებოდნენ აქაურ ნავთს ბაქოს რკინის გზის გამოყვანამდის. აქაურნი ახლო-მახლო მცხოვრებნი თურმე, როგორც დამარწმუნეს, ახლაც ხმარობენ სანათათ აქაურ ნავთს, და ჩვენ კი ათას ვერსიდგან მოტანილ ნავთს მამასისხლათ ვყიდულობთ?... ამას გარდა, ეს მთა მდიდარია ყოველნაირი მადნეულობით, რომელთაგან ახლახან მხოლოდ ალაბასტრის და ქვანახშირის დამუშავებას და გაზიდვას შეუდგნენ, ისიც კანტიკუნტად და ამასაც გარეშედგან მოსულნი. მართალია, რუსული ტეხნიკა, როგორც ახლა მტკიცდება, სისწრაფეს არაა ნაჩვევი, მაგრამ ეგების გვიან მაინც შეიძლოს აქნამდე მოაღწიოს. მანამდის კი უნდა ვეცადოთ, როგორც ზოგიერთი მეპატრონეებიც მოწადინებულნი არიან, ეს მთა დავიხსნათ უდროვო განადგურება-გაჩანაგებისაგან, და ეს ადგილი მოსახერხებელიცაა, თუ მოვინდომებთ.

ამას გარდა, მე არა მგონია, რომ ამისთანა საკურორტო ადგილი სხვაგან სადმე მოიძებნებოდეს იმერეთში. ამ გარემოებას ამ თავითვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ქართველთა მესვეურებისაგან, ვინაიდგან სამელ, თუ სხვა სამკურნალო წყლების ფართოთ გამოყენებას რუსის მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება უკვე მიაქცია. (თურმე ომამდის საზღვარგარეთულ სამკურნალო აგარაკებში ხუთას, ექვსას მილიონამდის სულ ბაჯაღლო რუსული ოქრო გადიოდა ყოველ წლობით. აი რა შესძლებია მოწყობილობას?..) და თუ ყოველივე ესე მოხერხდა, აქ დატრიალებული თანხა დიდათ ასწევს აქაურ მკვიდრთა როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ მდგომარეობას.

მღვდ. ვლად. მაჭარაშვილი.

## დაბა-სოფლები

**დაბა ცხინვალი.** „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“, ასე მოუვიდა ბევრ ნაჭირნახულევ უბედურ გლეხკაცს. არ აკმარა ღმერთმა ბევრი სხვა უბედურობა, ეხლანდელი უმაგალითო ომით გამოწვეული; ობრად დარჩენილ ქვრივ-ობოლს, უკაცოდ დარჩენილ ოჯახს უკანასკნელი მაცხოვრებელი, მასაზრდოებელი პირუტყვიც კი გამოაცალა ხელიდან. უმაგალითო იყო წლევანდელი საქონლის ჭირი და თუ სხვა დროს თავზარსა სცემდა ხოლმე დამშვიდებულ ოჯახის მაცხოვრებელს, წლეულს ხომ, უფრო დიდ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო იგი. ეს უბედურობა უფრო გაართულა აცრამ, რომლის მეოხებით ერთი პირუტყვიც აღარ გადარჩა ოჯახში. ბევრისაგან გაიგონებთ: მადლობა ღმერთს, რაც მოგვივა მისი ნებით, უნდა გადავიტანოთ, მეტი რა ღონეა, მაგრამ როდესაც უბედურობა სოფლის კაცის ხელით, ეს გვიდაგავს გულს. რა უნდათ, შენი ჭირიმე, დაგვანებონ თავი, ჩვენს უბედურობას ჩვენვე მოვუვლით. ჩაგვციებიან: შეუგნობლობით მოგდისთ, რომ არ გინდათ ააცრევინოთ საქონელიო. რის შეუგნებლობაა, როდესაც ვიცით, რომ უფრო მეტი უბედურობა მოგვივა. მართლაც, ასე მოხდა. კვლავ, როდესაც ჭირი გაჩნდებოდა, ზოგს შეხვდებოდა, ზოგს არა; ეხლა კი, როდესაც მთელი საქონელი სალი და ჭირიანი ერთმანეთში აირია და ერთად აიცრა, სულ ყველა გახდა ავად, და ასე დაავადებულთაგან მხოლოდ იშვიათად თუ გადარჩა ასში ერთი. მარტო ცხინვალელებს 2,000 მან. ზარალი მოუვიდათ და სოფლელებისა ხომ მეტს უდრის, რადგან იქ უფრო ბევრი საქონელია. იყო ოჯახი, სადაც უკანასკნელი ხბოც კი აღარ დარჩა და იმათი უბედურობა პირდაპირ გულს უდაგამდა კაცს. ქვის გული უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ყველა ამის მნახველს გული არ ასტკიებოდა. თვით კი ამ უბედურობის მიზეზი, ბ-ნი ბეითალი, გულგრილად უყურებდა ყოველსავე ამას. იქნება, ის თავისს სინდისს იმით აყუჩებდა, რომ მთავრობა აუნაზღაურებდა უბედურთ დანაკლისს და თავისი დანაშაული ამითი გამოსყიდული იქნებოდა? რა უყოთ, რომ წამალი კარგი ხარისხისა არ იყო და ბევრგან აკლდებოდა კიდეც! ის სცდილობდა ხალხი დაემშვიდებინა: შესაფერი ფული გამოგივათო, და ეს საკმარისად მიაჩნდა. მუდამ ასე ყოფილა, ესეთი გულ-გრილა და შეუბრალებელ ხალხთან უხდებოდათ უბედურთ შეხვედრა და ამიტომაც არის, რომ მათ იმედი არავისი აქვთ და მარტო თავიანთ თავზედ არიან დამყარებულნი. ამით აიხსნება ისა, რომ ახლა გაჩნდება თუ არა რამე გადამდები სნეულება ხალხისა თუ საქონლისა, ყოველ ღონის ძიებით ცდილობენ, არვინ გაიგოს, და თავიანთი ჭირის დამალვას ამჯობინებენ.

ქართველი ქალი.

## ღია წერილი

**გაზეთ „თან. აზრის“ შემოქმედელ კორესპონდენტების მიმართ**

აგერ რამდენიმე ხანია, ზოგ აქაურ კორესპონდენტს, ჩვენი სამკითხველო ნიშანში ამოუღია და ათას გვარ არასაკადრისს ეპიტეტებით ამკობს. საქმის მდგომარეობა ნამდვილათ ასეთია: აქაურ სამკითხველოს აქვს საკუთარი შენობა, მაგრამ იმ შენობაში, დროებით მოთავსებულია ერთი კლასი უმაღ. დაწყებითის სასწავლებლისა. სამკითხველომ ამით დიდი სამსახური გაუწია საზოგადოებას. თვით სამკითხველო კი დროებით მოთავსებულ იქმნა იქვე გვერდით დუქნის შენობაში, რადგან უფრო შესაფერი შენობა ვერ ვიშოვეთ. მართალია, შენობა საკუთარ შენობასთან შედარებით პატარაა, მაგრამ შეძლების დაგვარად მას არც სინათლე აკლია და არც სისუფთავე. ვთხოვთ წ. კ. საზოგადოების გამგეობას—მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და პირადად დათვალიერების შემდეგ აღიარებულ იქმნას სრული ჭეშმარიტება, რომ ამით ერთხელ და სამუდამოდ გამოირკვეს საქმის მდგომარეობა, რათა მომავალში კვლავ შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი, როგორც პატივცემული რედაქცია, ისე მკითხველი საზოგადოება.

ღრმა პატივისცემით სამკითხველოს გამგეობის წევრნი: **მღვდ. თომა ხაბაშვილი, ნინო ძიძიგურისა, ანეტა ჯინჭარაძე.**

სოფ. შემოქმედი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „საქართველო“-ში.

ვინაიდგან დღეს, ამ გასაჭირის დროს, ბედ-კრულ ქართველობას არ მოეგვპოვება არავითარი ისეთი დაწესებულება, რომელიც ზრუნავდეს ჩვენს სოფელს უკიდურესი გასაჭირი თავიდგან აეცილოს, და უმაგალითო ომისაგან გამოწვეული ღრმა იარები მოუშუშოს, ამიტომ მივმართავ მათს ბრწყინვალებათ ქართველ თავად-აზნაურთა სამაზრო და საგუბერნიო წინამძღოლთ, და აგრეთვე ყველა ქართულ დაწესებულებათა მეთაურს, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენის სოფლის გაჭირვებას.

დღეს ლურჯ ბილეთიანების გაწვევით სოფელს უკანასკნელი მუშა ხელი ეცლება. ვინ-ღა უნდა მომკას ან გალეწოს, ის მცირე ნახნავები, რომელიც, შარშანდელთან შედარებით, ერთ მეოთხედს შეადგენს? ვინ უნდა მოხნას გაზაფხულზე სიმინდი, რომელიც პურთან შედარებით ბევრად მეტ მოსავალს იძლევა. გარდა ამისა, ყველას კარგად უნდა მოგეხსენებოდესთ, რომ რუსეთის იმპერიაში, ყირიმის გარდა, საქართველოა ის მხარე, რომელიც უმთავრესად მევენახეობით ირჩენს თავს და ამიტომ უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ მევენახეობისთვის ბევრი მუშა ხელია საჭირო. ამ მხრით საქართველოს შედარება რუსეთთან, სადაც მარტოხელა თესვას მისდევენ, დიდი შეცდომაა. ჩვენ მეტი მუშა ხელი გვჭირია. ქართველ მსხვილ და წვრილ მამულის პატრონთა უმთავრეს ცხოვრების წყაროს—ვენახებს—დედაკაცები, ბავშვები და მოხუცებულ-დამახინჯებულნი ვერ დასჭრავენ, ვერ გასთიბავენ, ვერ მოსხრიან ჭიგოს, ვერ შესარავენ, ვერ აიკიდებენ „აპარატებს“ და ვერ უწამლენ ვაზებს.

ამიტომ დღესა გვჭირდება წინამძღოლნი, დღეს, როდესაც საქართველო გარედ სისხლად იცლება და შინ მამული უოხრდება. წინამძღოლთ უნდა გვიშველონ, იმათ მოახსენონ კავკასიის უმაღლეს მთავრობას, „სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს, სთხოვონ ყველას, რომ შემდეგი გასაწვევნი მაინც დაგვიბრუნონ.

ბ. შავგულიძე.

სოფ. ყვარელი.

## ანგარიში

ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების „ჭრა-კერვის“ სკოლის მიერ 1916 წ. ქრისტეშობისთვის 20 გამართულ წარმოდგენისა:

**შემოსავალი:**

| | |
|---|---|
| ბილეთები გაიყიდა | 1791 მ. 39 კ. |
| პროგრამები . | 157—75 კ. |
| ტკბილეულობა . | 49— 5 კ. |

**შემოწირულება:**

| | |
|---|---|
| ბ. გაჯი-ზეინალ-აბდულ ტაგიევისაგან . | 200 მ. — |
| იოანე გიორგის ძე კუნდუროვისაგან . | 74—10 კ. |
| თავად არგუტინსკისაგან | 19—50— |
| მიხეილ იოსების ძე არამანცისაგან . | 19—50— |
| — შახ-ბალაევისაგან | 100— — |
| წვრილი შემოწირულებანი | 59—10— |
| სულ | 2470 მ. 39 კ. |

**გასავალი:**

| | |
|---|---|
| წარმოდგენისა . | 600 მ. — |
| სხვა ხარჯი . | 370—39— |
| სულ | 970 მ. — |
| წმინდა შემოსავალი | 1500 მ. — |

გამგე სალამოსი **ნ. ნ. გაბაშვილისა.**

## შემოწირულებანი

ქ. ნ ნო ნიკოლოზის ასულმა გაბაშვილისამ თავის სახელწოდების დღის აღსანიშნავად ქართველ ქალთა საზოგადოების სახელოსნო სკოლას შესწირა ღარიბ მოწაფეთა მამასწავლო ფულის გადასახდელად 25 მანათი. გამგეობა ზემოხსენებულ საზოგადოებისა უდიდეს მადლობას უძღვნის.

—

პოდპორუჩიკმა ალექსანდრე ვასილის ძე გორგაძემ ზედა-ილმის სამკითხველოს გამოუწერა გაზეთი „საქართველო“ ერთის წლით.

—

გერმანე ჯორბენაძემ ერთის წლით გაუწერა გაზეთი „საქართველო“ გომახურის (გურია) სამკითხველოს.

## უცხოურ ფულის ფასი

იანვრის 14, უცხოური ფული ფასობდა: გირვანქა სტერლინგი—14 მ. და 40 კ., ფრანგული ფრანკი—52 კ., შვეიცარული ფრანკი—61 კაპ., შვედური კრონი—90 კაპ., დანიური კრონი—84 კაპ., ნორვეგიული კრონი—87 კ., ჰოლანდიური გულდენი—1 მ. და 24 კ., ამერიკული დოლარი—3 მ. და 20 კ., იტალიური ლირა—45 კ., იაპონიური იენა—1 მ. და 65½ კ., რუმინული ლეია—35 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ხარიტონ შარაშიძე**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 8 „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | 6 24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. № 3***, | 8.10 | დილ. |


# კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

(თბილისი, ელისაბედის ქ. № 73)

**თანახმად წესდების § 34-ისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ კახეთის რკინის გზის საზოგადოების აქციონერთა უკანასკნელ არაჩვეულებრივს კრებაზედ გამგეობის დირექტორებად არჩეულ იქმნენ:**

**თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, რ. ნ. ყაზბეგი და ფ. გ. გოგიჩაიშვილი, ხოლო კანდიდატებად: თავ. მ. ზ. ჭავჭავაძე, თავ. მ. ა. სუმბათაშვილი და გ. ვ სარაჯიშვილი.**

(1—527—1)

**სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი**

# განათლება

(წელიწადი მეათე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წესიერად სწავლა-აღზრდის საქმეს იროვნულს ნიადაგზე. „განათლება“ აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივად ყოველ თვე გარდა ზაფხულის ორის თვისა (ივლისი და აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივად იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში ვ. ავალიშვილთან, „Новая рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში კიკნაძესთან და „განათლების“ კანტორაში, ოლღას ქ. № 6. წლიურად ჟურნალი გაგზავნით ღირს 5 მან., თბილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ჟურნალისა ღირება 50 კაპ.

**მისამართი:** Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

# საუკეთესო კახური ღვინის საწყობი ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

# 1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

# „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 **წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 **წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—12)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი **სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის მიერ** პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი“




**მხოლოდ და მარტო ლალიძის** წყალია მომზადებული სრულიად **უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე**

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

# თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**“ **ხიზილალა.** მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ტოგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4